ვალდებულებები	-	-	-	-

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	აღრე გაცხადებული რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	314,128	314,128
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,254,996	-	(323,087)	931,909
სულ მოკლევადიანი აქტივები	27,589,385	-	8,959	27,598,344
აქტივები	29,534,358	-	-	29,534,358
სულ აქტივები	29,551,245	0	-	29,551,245
გაუნაწილებელი მოგება	20,798,390	237,882	-	21,036,272
სულ საკუთარი კაპიტალი	20,866,605	237,882	-	21,104,487
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,600,825	(237,882)	(23,147)	8,339,796
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	27,313	27,313
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	83,815	-	(4,166)	79,649
ვალდებულებები	8,684,640	(237,882)	-	8,446,758
სულ ვალდებულებები	8,684,640	(237,882)	-	8,446,758
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	29,551,245	-	-	29,551,245

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

	აღრე გაცხადებული რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,200,405)	-	(37,168)	(1,237,573)
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	(96,649)	-	30,929	(65,720)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(324,472)	(13,478)	6,239	(331,711)
მოგება დაბეგვრამდე	790,178	(13,478)	-	776,700
წლის მოგება	790,178	(13,478)	-	776,700

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	გადაანგარიშებები	გადაანგარიშებული
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5,371,764)	9,507	(5,362,257)
დასაქმებულ პირებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(122,750)	11,370	(111,380)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობით უზრუნველყოფილი წმინდა ფულადი სახსრები	(3,279,853)	20,877	(3,258,976)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	27,589,385	8,959	27,598,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,099,991	29,835	23,129,826

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ განხორციელებული ცვლილება კომპანიის აქციონერს და ხელმძღვანელობას აქვთ უფლება შეცვალონ ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

3. კრიტიკული საადრიცხო შეფასებები და განსჯა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს საადრიცხო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები: ძირითადი საშუალებების მუხლების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საგანს წარმოადგენს, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის თანმდევი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გამოყენების განმავლობაში მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური და კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივების თანმდევი ეკონომიკური სარგებლის კლებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობების და შეფასების პერიოდის შესაბამისად, რომლის დროსაც მოსალოდნელია კომპანიისთვის სარგებლის მიღება. გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემული ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივებით მოსალოდნელი სარგებლობა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც მომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებიდან.

მოგების გადასახადის აღიარება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა ინტერპრეტაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს, და შესაძლოა ექვემდებარება საგადასახადო ორგანოს მხრიდან. არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ყოველ საანგარიშგებო თარიღში გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომელთა შენარჩუნებაც, ხელმძღვანელობის შეფასებით ნაკლებად სავარაუდოა საგადასახადო ორგანოს მხრიდან ექვემდებარება.

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს (თანხები მოცემულია ათას ლარში)

დაყენების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო თარიღით ვალდებულებათა გასტუმრებისთვის საჭირო დანახარჯების ხელმძღვანელობისეული შეფასებით. ფაქტობრივი დარიცხვები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება. საქმიანობის ჩვეულ პირობებში კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. იმის განსასაზღვრად, ოპერაცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, ხელმძღვანელობა განსჯას იყენებს, როდესაც არ არსებობს ამგვარი ოპერაციების აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველს წარმოადგენს არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
მასალები	805,218	735,911	595,191
იმპორტირებული მარაგი	23,070	8,724	91,661
სხვა მარაგები	15,806	9,317	3,125
მარაგები	844,094	753,952	689,977

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები	1,131,575	694,374	931,909
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,131,575	694,374	931,909

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
ბანკებში არსებული ფულადი სახსრები	24,629,064	23,129,826	27,598,34
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24,629,064	23,129,826	27,598,34

7. საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ვესტასი სენტრალ ეუროპ ა/ს“ საკუთრების 100%-იან წილს ფლობდა. საწესდებო კაპიტალი სრულად ნაღდი ფორმით არის შეტანილი.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
--	---------------------------	---	---

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები	2,930,392	2,564,310	8,129,76
დაკავშირებული მხარეების წინაშე			
სავაჭრო ვალდებულებები	172,356	259,128	191,77
ვალდებულება დასაქმებული პირების მიმართ	11,920	10,657	10,13
სხვა ვალდებულება	608	6,709	8,12
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	3,115,276	2,840,804	8,339,79

9. ამონაგები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ამონაგები მომსახურების ხელშეკრულებიდან	2,391,100	2,119,81
ამონაგები საქონლის გაყიდვებიდან	45,568	418,91
სულ ამონაგები	2,436,668	2,538,71

10. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
სახელფასო ხარჯი - მომსახურება	226,563	196,07
პირდაპირი ხარჯი - მომსახურება	117,398	554,11
მოხმარებული საქონელი - მომსახურება	89,376	68,33
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	46,371	446,66
მარაგების დეფიციტი/(ზედმეტობა)	97	(27,611)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	479,805	1,237,57

11. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ტრანსპორტირების ხარჯები	47,254	65,71
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	47,254	65,72

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
საკონსულტაციო ხარჯები	117,376	148,11
მართვის მომსახურება	61,079	78,51
სხვა ხარჯები	48,769	2,81
სადაზღვევო და უსაფრთხოების ხარჯები	21,404	85,21
დასაქმებულ პირთა სწავლების ხარჯები	14,910	41
სამივლინებო ხარჯი	7,458	7,31
საბანკო ხარჯები	6,720	4,41
თაროების სისტემის ცვლადი	4,825	4,82
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	282,541	331,71

13. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები

ამი ყოძეშვილი

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ. გადასახადები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ მიმოხილვითი შემოწმების და კვლევის საფუძველს წარმოადგენს, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები, მოსაკრებლები და პროცენტები. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახედად ოთხი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში, საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში დარჩეს ღია.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციების განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	2,930,392	2,564,310	8,129,760

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:


	2023	2022
ამონაგები საქონლის გაყიდვებიდან		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	45,568	418,983
იმპორტის რეჟიმით შეძენილი საქონელი		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	226,238	548,708
მართვის მომსახურების საფასური		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	61,079	78,531

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან მასში გაცხადებული ინფორმაციის ცვლილებას.

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N240775475



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი
სანოტარო მოქმედების
დასახელება

21.06.2024 6

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, კ.ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593235532

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

07459172647924



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-
გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ocdaoTaxi წლის ოცდაერთ ივნისს მე, ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი, რომლის სანოტარო
მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი თამარ ყეინაშვილი
20.07.1977, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, კორპ.1, ბ.45, პ
01013004208, ბაკალავრის დიპლომი AA0046419 გაც. 1999 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დ
ენათა კულტურის და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნო
გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარ
გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნ
თარგმანის სიზუსტეს.

21.06.2024 I, Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureaus located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the a
of the signature of translator Tamar Keinashvili (born on 20.07.1977, personal number 01013004208, residing at: Var
Plato, Building 1, Apt. 45; Bachelor's diploma AA0046419 issued in 1999 by Tbilisi Ilia Chavchavadze State U
Western Languages and Cultures). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the tra
confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.


გადახდილია 48-00 ლარი, 8.64 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდე
მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5-00 ლარი, თანახმად საქართველოს
დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. ერთი ეგზემპლარისთვის

Fee paid 48-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Governm
fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for th
notary activities, also VAT 8.64 GEL, according to Article 166th of Georgian Tax Code, also 5-00 GEL, according
39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი



შპს-ს და რეგისტრირებული
საქმიანობის
სტატუსი:



შპს „ვესტასი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ზომის
საწარმოებისთვის

მსს ფასს-ის ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში	11
4. მარაგები	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12
7. საწესდებო კაპიტალი	12
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
9. ამონაგები	13
10. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13
11. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	13
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
13. პირობითი ვალდებულებები	13
14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

შპს „ვესტასი საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		7,237	12,062	16,887
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,237	12,062	16,887
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	4	844,094	753,952	689,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,131,575	694,374	931,909
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		63,034	152,749	314,128
ავანსად გადახდილი გადასახადი		-	1,172	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	24,629,064	23,129,826	27,598,344
სულ მოკლევადიანი აქტივები		26,667,767	24,732,073	29,534,358
სულ აქტივები		26,675,004	24,744,135	29,551,245
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	68,215	68,215	68,215
გაუნაწილებელი მოგება		23,458,332	21,812,972	21,036,272
სულ საკუთარი კაპიტალი		23,526,547	21,881,187	21,104,487
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	3,115,276	2,840,804	8,339,796
სახელშეკრულებო ვალდებულებები		31,396	22,144	27,313
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		1,785	-	79,649
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,148,457	2,862,948	8,446,758
სულ ვალდებულებები		3,148,457	2,862,948	8,446,758
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		26,675,004	24,744,135	29,551,245

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 13 ივნისს:

კორნელის დე ბაარი
გენერალური დირექტორი

შპს „ვესტასი საქართველო“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	9	2,436,668	2,538,788
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	10	(479,805)	(1,237,573)
საერთო მოგება		1,956,863	1,301,215
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	11	(47,254)	(65,720)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(282,541)	(331,711)
საოპერაციო მოგება		1,627,068	903,784
საკუროსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		18,292	(127,084)
მოგება დაბეგვრამდე		1,645,360	776,700
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,645,360	776,700

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 13 ივნისს:

კორნელის დე ბაარი
გენერალური დირექტორი

შპს „ვესტასი საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	68,215	21,036,272	21,104,487
სულ წლის მოგება	-	776,700	776,700
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	68,215	21,812,972	21,881,187
სულ წლის მოგება	-	1,645,360	1,645,360
2023 წლის 31 დეკემბერი	68,215	23,458,332	23,526,547

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 13 ივნისს:

კორნელის დე ბაარი
გენერალური დირექტორი

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		2,416,068	2,549,922
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(446,975)	(5,362,257)
გადასახადების გადახდა		(381,896)	(335,261)
დასაქმებულ პირებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(221,465)	(111,380)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობით უზრუნველყოფილი წმინდა ფულადი სახსრები		1,365,732	(3,258,976)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		1,365,732	(3,258,976)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		133,506	(1,209,542)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		23,129,826	27,598,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		24,629,064	23,129,826

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 13 ივნისს:

კორნელის დე ბაარი
გენერალური დირექტორი

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ვესტასი საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) 2016 წლის 25 თებერვალს დაფუძნდა და ის საქართველოს რეზიდენტი კომპანიაა. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მშობელი საწარმოა „ვესტას სენტრალ ეუროპ ა/ს“ (დანია), ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „ვესტას იუნდ სისტემს ა/ს“ (დანია).

ქარის ტურბინების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ აშენებდა და ქარით გამოიმუშავებულ ელექტროენერგიას გადასცემდა მომხმარებლებს 2016 წელს. 2017 წლიდან, მომსახურებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია გასწევს სააბონენტო მომსახურებებს შემდეგთან დაკავშირებით: დაგეგმილი და დაუგეგმავი ტექნომსახურება; კონკრეტული სახარჯო მასალების, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტების და აღჭურვილობის მიწოდება, დისტანციური მეთვალყურეობა; ყოველთვიური ანგარიშგება და სხვ.

კომპანიის იურიდიული მისამართია ვაჟა-ფშაველას გამზ. №71, მე-2 სართული, ნიშნული 3.9, კორპუსი II, თბილისი, 0186, საქართველო.

საოპერაციო გარემო - საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები განვითარებულ ბაზრებზე მეტ რისკს გასწევს; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, ასევე იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესებზე მოქმედი კანონმდებლობები და ნორმატიული აქტები სწრაფად იცვლება საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოებით, განსხვავებული ინტერპრეტაციების გამო. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკები, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენებთან ერთად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა საქართველოს და ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს ჰარმონიზაციას, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკური ერთობლივი ინიციატივის შესაბამისად. 2023 და 2022 წლების განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, მომავალში მოსალოდნელია დამატებითი ცვლილებების განხორციელება.

ქართული ენერგეტიკული სექტორი ფუნდამენტურ ცვლილებების განიცდის. 2016 წლის ოქტომბერში ენერგეტიკული ქარტიის ხელმოწერით, საქართველომ დაამტკიცა კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ (შემდგომში „კანონი“), ხოლო 2019 წლის დეკემბერში - კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების შესახებ, რომლებმაც ქვეყანაში ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაციას შეუწყო ხელი.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებების განვითარებას და ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც მისი აზრით საჭიროა განჭვრეტად მომავალში კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ამ მოვლენების შედეგები და მასთან დაკავშირებული სამომავლო ცვლილებები მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას მოახდენს კომპანიის ოპერაციებზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს სტანდარტი) მიხედვით. ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების წესის გათვალისწინებით.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენის პროცესში განსჯის გამოყენებას. მე-3 შენიშვნაში განმარტებულია მაღალი ხარისხის განსჯის ან კომპლექსურობის მომცველი სფეროები, ან სფეროები, რომლებშიც დაშვებების და შეფასებების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვთ ფინანსური ანგარიშგებისთვის.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილი ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტა საქართველოს ვალუტა - ქართული ლარია.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტად კონვერტირდება, გარიგების თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ამგვარი ოპერაციების ფარგლებში განხორციელებული დაფარვებიდან და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გაცვლითი კურსიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება. ნასესხებ სახსრებსა და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების“ მუხლში. საკურსო სხვაობით განპირობებული ყველა სხვა შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშგების „სხვა საოპერაციო ხარჯებში“ ან „სხვა შემოსავალში“ აღირიცხება.

2023 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსები ასე გამოიყურებოდა: 1 ევრო = 2,9753 ლარი (2022 წ.: 1 ევრო = 2,8844 ლარი); 1 აშშ დოლარი = 2,6894 ლარი (2022 წ.: 1 აშშ დოლარი = 2,7020 ლარი). დღეის მდგომარეობით ლარი არ არის საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, ბანკებში მოთხოვნამდე ანაზრებს, და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს თავდაპირველი სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ მასალებს და, შესაბამის შემთხვევაში, პირდაპირი შრომის დანახარჯებს, ასევე იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების დღევანდელ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობამდე მოყვანაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის დასრულების და გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პროცესში.

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება. შემდგომში ისინი ფასდება გაუფასურების ანარიცხებით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი მაშინ განისაზღვრება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა ვადადამდგარი თანხის ამოღებას, მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები შეუქცევადი თანხების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება.

სახელშეკრულებო ვალდებულება. სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს იმ საქონლის და მომსახურების მომხმარებელზე გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას მომხმარებლისგან საზღაური აქვს მიღებული (ან საზღაურის თანხის გადახდის ვალდებულება დგება). თუ მომხმარებელი საზღაურს გადაიხდის მანამდე, სანამ კომპანია მას საქონელს და მომსახურებას მიაწვდის, სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება მაშინ, როდესაც განხორციელდება გადახდა, ან დადება მისი გადახდის ვალდებულება (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებები აღიარდება, როგორც ამონაგები, კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.

საწესდებო კაპიტალი. ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდების ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. ის წარმოადგენს საქონლის მიწოდებისთვის მისაღებ თანხებს და აღირიცხება ნებისმიერი ფასდაკლების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც მისი თანხა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს; როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება, ან როდესაც დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეული ზემოთ აღწერილი საქმიანობის კონკრეტული კრიტერიუმები. როდესაც შეუძლებელია საბარტერო გარიგების ფარგლებში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგები გაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

საქონლის გაყიდვა. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც ხდება საქონლის ფლობის რისკების და სარგებლის გადაცემა, ჩვეულებრივად მაშინ, როდესაც საქონლის მიწოდება ხდება. თუ კომპანია დაეთანხმება საქონლის ტრანსპორტირებას მითითებულ ადგილზე, ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს, მიწოდების ადგილზე.

მომსახურებების გაყიდვა. მომსახურებების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა, კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის გათვალისწინებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი მთლიანი მომსახურებების პროპორციულად.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)**

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგებიდან გადასახადები განისაზღვრება ამოქმედებული ან საანგარიშგებო თარიღისთვის არსებითად ამოქმედებული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელი. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა საწარმოსთვის, გარკვეული საფინანსო დაწესებულების გარდა. შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს ნულოვან მოგების გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. წინა მოდელით 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა კომპანიის მოგებას დაბეგვრამდე მისი გაუნაწილებლობის ან განაწილების სტატუსის მიუხედავად.

მოგების გადასახადის ახალი წესები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოქმედებს, რომელიც ვრცელდება კომპანიაზე, ხოლო საგადასახადო ბაზა მოიცავს მოგების ფაქტობრივ და ჩათვლილ განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები;
- საქონლის/მომსახურების უფასოდ მიწოდება და/ან სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აქარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზღვარს.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი ხარჯის სახით აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის იმ რაოდენობით ფასდება, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისგან ან რომლის გადახდაც მოსალოდნელია ამ ორგანოებისთვის.

ზემოთ აღწერილის მსგავსად, განაწილებული მოგების გარდა სხვაზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების „საგადასახადო ხარჯების“ მუხლში.

დაბეგვრის მოდელის ცვლილების გამო, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზა“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას. კომპანიების დაბეგვრის ახალი მოდელით, მსს ფასს სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდა ხდება საქონლის მომხმარებლებისთვის მიწოდებისას. შესყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი ჩვეულებრივ ამოღებადია გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადით, დღგ-ის ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის დაფარვას ნეტო საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

წინა პერიოდების ხარვეზების კორექტირება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, კომპანიამ გამოავლინა წინა პერიოდის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარვეზები, რომელიც გამოსწორდა შედარებადი ინფორმაციის რეტროსპექტული გადანგარიშებით.

გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს (თანხები მოცემულია ათას ლარში)

- კომპანიამ არასწორად აღრიცხა 2016 წელს მიღებული მომწოდებლის ინვოისი. ამ ხარვეზის გამო, გაუნაწილებელი მოგება ნაკლები ოდენობით, ხოლო სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 224,404 ლარით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 237,882 ლარი) ზედმეტი ოდენობით განისაზღვრა.
- კომპანიამ განახორციელა ანგარიშების რეკლასიფიკაცია მსს ფასს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და გააუმჯობესა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სიზუსტე. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე რეკლასიფიკაციების ეფექტი ქვემოთ არის განსაზღვრული.

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

მოკლევადიანი აქტივები	ადრე გაცხადებული			
	რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
მარაგები	751,300	-	2,652	753,952
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-	-	152,749	152,749
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	879,611	-	(185,237)	694,374
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23,099,991	-	29,835	23,129,826
ავანსად გადახდილი წმინდა გადასახადი	-	-	1,172	1,172
სულ მოკლევადიანი აქტივები	24,730,902	-	1,171	24,732,073
სულ აქტივები	24,742,964	-	1,171	24,744,135

გაუნაწილებელი მოგება სულ საკუთარი კაპიტალი	ადრე გაცხადებული			
	რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
გაუნაწილებელი მოგება	21,588,568	224,404	-	21,812,972
სულ საკუთარი კაპიტალი	21,656,783	224,404	-	21,881,187

მოკლევადიანი ვალდებულებები	ადრე გაცხადებული			
	რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,083,975	(224,404)	(18,767)	2,840,804
სახელმწიფოებრივი ვალდებულებები	-	-	22,144	22,144
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	2,206	-	(2,206)	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,086,181	(224,404)	1,171	2,862,948
სულ ვალდებულებები	3,086,181	(224,404)	1,171	2,862,948
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	24,742,964	-	1,171	24,744,135

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-	-	314,128	314,128
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,254,996	-	(323,087)	931,909
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27,589,385	-	8,959	27,598,344
სულ მოკლევადიანი აქტივები	29,534,358	-	-	29,534,358
სულ აქტივები	29,551,245	0	-	29,551,245
გაუნაწილებელი მოგება	20,798,390	237,882	-	21,036,272
სულ საკუთარი კაპიტალი	20,866,605	237,882	-	21,104,487
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,600,825	(237,882)	(23,147)	8,339,796
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	27,313	27,313
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	83,815	-	(4,166)	79,649
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8,684,640	(237,882)	-	8,446,758
სულ ვალდებულებები	8,684,640	(237,882)	-	8,446,758
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	29,551,245	-	-	29,551,245

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	გადაანგარიშებები	რეკლასიფიკაციები	გადაანგარიშებული
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,200,405)	-	(37,168)	(1,237,573)
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	(96,649)	-	30,929	(65,720)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(324,472)	(13,478)	6,239	(331,711)
მოგება დაბეგვრამდე	790,178	(13,478)	-	776,700
წლის მოგება	790,178	(13,478)	-	776,700

გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ასე გამოიყურებოდა:

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	გადაანგარიშებები	გადაანგარიშებული
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5,371,764)	9,507	(5,362,257)
დასაქმებულ პირებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(122,750)	11,370	(111,380)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობით უზრუნველყოფილი წმინდა ფულადი სახსრები	(3,279,853)	20,877	(3,258,976)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	27,589,385	8,959	27,598,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,099,991	29,835	23,129,826

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ განხორციელებული ცვლილება კომპანიის აქციონერს და ხელმძღვანელობას აქვთ უფლება შეცვალონ ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები: ძირითადი საშუალებების მუხლების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საგანს წარმოადგენს, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის თანმდევი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გამოყენების განმავლობაში მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური და კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივების თანმდევი ეკონომიკური სარგებლის კლებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობების და შეფასების პერიოდის შესაბამისად, რომლის დროსაც მოსალოდნელია კომპანიისთვის სარგებლის მიღება. გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემული ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივებით მოსალოდნელი სარგებლობა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნოლოგიური პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც მომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებიდან.

მოგების გადასახადის აღიარება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა ინტერპრეტაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს, და შესაძლოა ექვემდებარება საგადასახადო ორგანოს მხრიდან. არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ყოველ საანგარიშგებო თარიღში გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომელთა შენარჩუნებაც, ხელმძღვანელობის შეფასებით ნაკლებად სავარაუდოა საგადასახადო ორგანოს მხრიდან ექვემდებარება.

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს (თანხები მოცემულია ათას ლარში)

დაცემების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო თარიღით ვალდებულებათა გასტუმრებისთვის საჭირო დანახარჯების ხელმძღვანელობისეული შეფასებით. ფაქტობრივი დარიცხვები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება. საქმიანობის ჩვეულ პირობებში კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. იმის განსასაზღვრად, ოპერაცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, ხელმძღვანელობა განსჯას იყენებს, როდესაც არ არსებობს ამგვარი ოპერაციების აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველს წარმოადგენს არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
მასალები	805,218	735,911	595,191
იმპორტირებული მარაგი	23,070	8,724	91,661
სხვა მარაგები	15,806	9,317	3,125
მარაგები	844,094	753,952	689,977

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები	1,131,575	694,374	931,909
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,131,575	694,374	931,909

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
ბანკებში არსებული ფულადი სახსრები	24,629,064	23,129,826	27,598,344
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24,629,064	23,129,826	27,598,344

7. საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ვესტასი სენტრალ ეუროპ ა/ს“ საკუთრების 100%-იან წილს ფლობდა. საწესდებო კაპიტალი სრულად ნაღდი ფორმით არის შეტანილი.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)
--	---------------------------	---	---

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს (თანხები მოცემულია ათას ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები	2,930,392	2,564,310	8,129,760
დაკავშირებული მხარეების წინაშე			
სავაჭრო ვალდებულებები	172,356	259,128	191,770
ვალდებულება დასაქმებული პირების მიმართ	11,920	10,657	10,137
სხვა ვალდებულება	608	6,709	8,129
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	3,115,276	2,840,804	8,339,796

9. ამონაგები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ამონაგები მომსახურების ხელშეკრულებიდან	2,391,100	2,119,806
ამონაგები საქონლის გაყიდვებიდან	45,568	418,982
სულ ამონაგები	2,436,668	2,538,788

10. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
სახელფასო ხარჯი - მომსახურება	226,563	196,072
პირდაპირი ხარჯი - მომსახურება	117,398	554,114
მოხმარებული საქონელი - მომსახურება	89,376	68,335
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	46,371	446,663
მარაგების დეფიციტი/(ზედმეტობა)	97	(27,611)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	479,805	1,237,573

11. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ტრანსპორტირების ხარჯები	47,254	65,720
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	47,254	65,720

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
საკონსულტაციო ხარჯები	117,376	148,164
მართვის მომსახურება	61,079	78,531
სხვა ხარჯები	48,769	2,845
სადაზღვევო და უსაფრთხოების ხარჯები	21,404	85,231
დასაქმებულ პირთა სწავლების ხარჯები	14,910	400
სამივლინებო ხარჯი	7,458	7,314
საბანკო ხარჯები	6,720	4,402
თაროების სისტემის ცვლადი	4,825	4,825
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	282,541	331,712

13. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები,

შპს „ვესტასი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს (თანხები მოცემულია ათას ლარში)

რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ. გადასახადები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ მიმოხილვითი შემოწმების და კვლევის საფუძველს წარმოადგენს, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები, მოსაკრებლები და პროცენტები. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახედად ოთხი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში, საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში დარჩეს ღია.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციების განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	2,930,392	2,564,310	8,129,760

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2023	2022
ამონაგები საქონლის გაყიდვებიდან		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	45,568	418,983
იმპორტის რეჟიმით შეძენილი საქონელი		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	226,238	548,708
მართვის მომსახურების საფასური		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	61,079	78,531

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან მასში გაცხადებული ინფორმაციის ცვლილებას.